ცხადდება კონკურსი!

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 90 წლისთავთან დაკავშირებით, სტუ-ის მწერალთა და მეცნიერთა შემოქმედებითი გაერთიანება, ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ინოვაციურ საქმიანობათა ხელშემწყობი სამსახური და სტუდენტთა თვითმართველობა აცხადებენ კონკურსს

საუკეთესო ნაწარმოების - სამეცნიერო-ფანტასტიკური ჟანრის მოთხრობის, გრაფიკული ან ფერწერული ნამუშევრის, ფოტოხელოვნების ნიმუშის - გამოსავლენად.

საკონკურსო მოთხრობის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 15 გვერდს, ხოლო სამეცნიერო-ფანტასტიკური სახვითი ხელოვნების ნიმუში, სასურველია, თითოეულმა ავტორმა გამოგზავნოს ერთიდან სამ ვარიანტამდე.

კონკურსის შედეგად, გამოვლინდება თითო-თითო გამარჯვებული: ფანტასტიკური მოთხრობის, გრაფიკულ ან ფერწერულ და ფოტოკონკურსებში. გამარჯვებულებს გადაეცემათ ფულადი პრემიები, თითოეულს 250 ლარის ოდენობით. ფულადი ჯილდოს მიიღებენ, აგრეთვე, საკონკურსო კომისიის მიერ გამორჩეული ნამუშევრების ავტორები.

საკონკურსო ნაწარმოების წარმოდგენის ბოლო ვადაა ა.წ. **5 დეკემბერი**.

საკონკურსო ნაწარმოები უნდა გამოიგზავნოს დევიზით, ცალკე კონვერტში, ავტორის სახელისა და გვარის მითითებით.

შედეგები გამოქვეყნდება საახალწლოდ.

კონკურსში გამარჯვებული მასალები გამოქვეყნდება ჟურნალ *„პარალელში“*.

საკონკურსო მასალები უნდა მოიტანოთ მისამართზე:

სტუ. VIII კორპუსი. III სართული. ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ინოვაციურ საქმიანობათა ხელშემწყობი სამსახური. ოთახი 316.ბ.
ტელ: *236 41 28. 6515.* დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე www.gtu.ge/ , http://ertad.gtu.ge, http://facebook.com/stu.ertad

კონკურსის ჟიური